# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი პარასკევი 10 აგვისტო 2007 №183 (3106) ფასი 50 თეთრი


# ის მოზრძანდება და მოზრძანდით თქვენც!

## დღეს საქართველოს მეცხრამეტე ეროვნული ჩემპიონატი იწყება



# საქართველომ ინგლისი საფრანგეთში დასცა

**საქართველო 65:63 ინგლისი**

**საქართველო:** გამყრელიძე (1), ელისი (15), მარკოიშვილი (17), ნაცვლიშვილი (3), ფაჩულია (12 ქულა, 12 მოხსნა); სანიკიძე (11 ქულა, 6 მოხსნა), ცინცაძე (4), უგრეხელიძე (2), ბაბიაშვილი, ა. ბოისა
**ინგლისი:** დენგი (19), რენკინგი (15), ბეტსი (14)

ფრანგულ პოში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და ამბიციამოჭარბებული ინგლისის ნაკრები დაძაბულ ბრძოლაში 65:63 დაამარცხა.

ინგლისელები არასდროს გამოირჩეოდნენ კალათბურთის დიდი სიყვარულით, თუმც ოლიმპიურმა მოძრაობამ მათ სპორტის ამ სახეობის მიმართაც გაუღვივა ინტერესი. მოგეხსენებათ, 2012 წელს ოლიმპიადა ლონდონში გაიმართება და ინგლისელებმაც საკალათბურთო თადარიგი აქედანვე დაიჭირეს, რათა მსოფლიო გიგანტებთან ბრძოლაში თავი არ შეირცხვინონ.

ბრიტანელებმა უძლიერეს ინგლისურპასპორტიან მოთამაშეებს დაუწყეს ძებნა და თავიანთ ნაკრებში თამაშზე უკვე დაითანხმეს „ჩიკაგო ბულზის“ ვარსკვლავი ლუოლ დენგი, რომელიც წარმოშობით სუდანელია და ამ აფრიკულ ქვეყანაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ პოლიტიკოს მამამისს ინგლისში გაურიდებია. დენგი 2 წლის წინ მოხვდა ნბა-ში და თავის პოზიციაზე უკვე ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ ითვლება. მას გუშინ ინგლისის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა, რაც, მისდა სამწუხაროდ, ქართველებმა ჩაუშხამეს.

19 ქულით კი გახდა დენგი ბომბარდირი, მაგრამ ინგლისმა წაგო, თანაც ქართველებს სწორედ მისი უშუალო მეტოქე, მანუჩარ მარკოიშვილი წინამძღოლობდა. მანომ 6 ცდიდან 4 სამქულიანი ჩააგდო, დაცვაში განთქმულ ჩიკაგოელს მედგრად დაუდგა და საბოლოოდ 17, დენგზე 2-ით ნაკლები ქულა ჩააგდო.

თამაში ძალიან დაძაბული და თანაბარი იყო. პირველი ტაიმი 32:32 დამთავრდა და ასე ქულა-ქულაში გაგრძელდა საფინალო წუთებამდე.

აი, ბოლოს კი ქართველებმა იყოჩაღეს — მარკოიშვილმა და ტაირონ ელისმა უმნიშვნელოვანესი სროლები ჩააგდეს და ჩვენებს გაამარჯვებინეს.

ინგლისელებს რევანშის აღების შესაძლებლობა აქვთ: დენგი და კომპანია ქართველებს დღეს, თბილისის დროით, 18 საათზე ერთხელაც გაეჯიბრება.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · I წრე. 1 ტური

# ნუ ვეტყვით ფეხბურთს ფანდარასტს!

## საქართველოში ქომაგმაც უნდა ითამაშოს



გალდრი კოოოლაძის ფოტო

**დღეს** საქართველოს მე-19 ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა იწყება.

ამ დროს მთელ ევროპაში მიღებულია, რომ საქმეში ჩახედული, პატივცემული ადამიანები გუნდების შანსებს აფასებენ და პროგნოზებს აკეთებენ, თუ ვის რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს. ჩვენში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. არა, ვინ როგორ მოემზადა ახალი სეზონისთვის, ვინ დაიმატა, ვინ გაუშვა და რისთვის იბრძოლებს, ჩვენც ვამბობთ ხოლმე, მაგრამ ქართული რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს ჩემპიონატის დაწყების წინ აქცენტებს განსხვავებულად ვსვამთ, ანუ ჩვენ წლიდან წლამდე იმაზე უფრო გვიწევს მსჯელობა, რომელ გუნდს რომელი ტურის მერე გაუთავდება თამაშზე წასასვლელი ბენზინის ფული...

ამ სეზონსაც, ისევე, როგორც წინას, 14 გუნდი იწყებს. ოღონდაც ეს თოთხმეტეული მთლად სპორტული პრინციპით არ არის შერჩეული.

ცხინვალის „სპარტაკს“ ვგულისხმობთ, რომლის უმაღლესში დაშვება არასპორტულ მოღვაწეთა კაბინეტებში გადაწყდა. კეთილი და პატიოსანი, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ცხინვალის სახელით მოთამაშე გუნდის უმაღლეს ლიგაში ყოფნა წაადგება, ვფიქრობთ, ამის წინააღმდეგი არავინ იქნება, ოღონდ...

ცხინვალის გუნდი იმავე პოლიტიკურ-პატრიოტული მიზეზით 2005-06 წლების სეზონშიც დაუშვეს უმაღლეს ლიგაში. ცხინვალელებმა 16-გუნდა ჩემპიონატში მე-14 ადგილი დაიკავეს, მერე პლეი ოფში „გაგრას“ მოუგეს და უმაღლესში ადგილი შეინარჩუნეს, ანუ იმ სეზონში „ცხინვალი“ ისევ უმაღლეს ლიგაში უნდა ყოფილიყო. თუმცა წინა სეზონის ცხრილს თუ ჩავხედავთ, იქ „ცხინვალს“ ვერ აღმოაჩენთ. არც პირველი ლიგის ცხრილში ძიებას აქვს აზრი — ცხინვალელები არც იქ იყვნენ. მიზეზი ზოგადქართულია — უფულობა.

მაგრამ ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს ბუნებრივად უჩნდება კითხვა: გუნდს ზარზეიმით რომ დაუშვებ უმაღლეს ლიგაში ყოველგვარი სპორტული პრინციპის უგულვებელყოფით, ამას პატრიოტულ-პოლიტიკურ სარჩულს დაუდებ, მერე კი იმ გუნდს საარსებო მინიმუმსაც არ მისცემ, სიყალბე ხომ არ გამოდის?

და ერთი „არაპატრიოტული“ კითხვაც: ვთქვათ, ამ სეზონში ეს შეცდომა გამოსწორდა, ცხინვალის „სპარტაკს“ საკმარისი ფული მიეცა, მაგრამ გუნდი მაინც გავარდა უმაღლესი ლიგიდან, მერე რა უნდა ვქნათ? თავის დროზე, საკავშირო პირველობის დროს, ტრაგიკულ მიზეზთა გამო ტაშკენტის „პახთაქორს“ რომ უნარჩუნდებოდა ადგილი უმაღლესში, ეგრე ხომ არ მოვიქცეთ ცხინვალიდან ედუარდ ჯაბაევიჩ კოკოითის „გაფანდარასტებამდე“?

აქამდე საქართველოში სამი გუნდი იყო, ეროვნული ჩემპიონატის დაარსებიდან თვრამეტივე სეზონი უმაღლეს ლიგაში რომ ჰქონდა ნათამაშევი: „დინამო“, „ბათუმი“ და „ტორპედო“.

ტრიუმვირატი დაიშალა და აქაც მიზეზი არასპორტული გახლავთ — ქუთაისის „ტორპედომ“ საფეხბურთო საზომებით სასაცილო თანხა, 30 ათასი ლარი ვერ მოაგროვა.

„ტორპედოს“ უმაღლესი ლიგიდან მოკვეთა — რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, პროფლიგის გამგეობისა და ფედერაციის აღმასკომის მხრიდან აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება იყო — ძალიან სერიოზული და ვრცელი მსჯელობის საგანია. თუნდაც იმის გახსენება ღირს, ბოლო წლებში როგორ იცვლებოდნენ ქუთაისური კლუბის მეპატრონეები და ერთი ხანობა ისიც კი ვერ გავვერკვია, ვისი იყო ეს ორგანიზაცია. ოღონდ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ცალკე საუბრის თემაა, აქ კი ერთხელაც გავიმეოროთ სავალალო ფაქტი — მე-19 ეროვნულს „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში არ ხვდება.

უფულობის გამო დაქვეითდა საჩხერის „ჩიხურაც“. საჩხერის ხსენებაზე ერთი იქაური მეცენატი გვახსენდება, რომელმაც წინა სეზონში გუნდის დაფინანსება იკისრა, მერე კი, მიზეზთა გამო, „ჩიხურა“ უფულობის მორევში ჩაეფლო.

და საერთოდაც: დღეს ახალი სეზონი კი იწყება, მაგრამ მთავარი პრობლემა წინა სეზონებიდან უიმედო ვალივით არის გადმოყოლილი — არ არსებობს მექანიზმი, რომელმაც ქართული საკლუბო ფეხბურთი შეიძლება მომგებიან საქმედ აქციოს. ამ მექანიზმის შექმნა კი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით.

კანონმდებლობა, იმედი გვაქვს, მალე შეიქმნება, იქამდე კი, ისე რომ არ გამოვიდეს, თითქოს, რაც ხდება, ყველაფერი ცუდია, კარგზეც ვთქვათ.

კარგია, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგა, თავისი კომპეტენციის და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმუმს აკეთებს ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის. მთავარი კი მაინც იმ კლუბების არსებობაა, რომლებიც არცთუ სახარბიელო პირობებშიც ახერხებენ განვითარებას.

„დინამო“, „ამერი“, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“ — ამ სეზონში ჩემპიონობის უმთავრესი მაძიებლები, ლოგიკით, ესენი უნდა იყვნენ. ოღონდაც ლოგიკა ყოველთვის არ ჭრის ხოლმე, რისი დასტურიც, რაღა შორს წავიდეთ და, წინა სეზონია. ჩემპიონი ზედ სეზონის დაწყების წინ შექმნილი გუნდი გახდა.

მაგრამ ესეც არ არის პრობლემა. უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამეა: ბოლოდროინდელი ამბებიდან ისე ჩანს, რომ საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ეგრეთ წოდებული ერთწლიანი გუნდია. ეს კი, ზოგადად ფეხბურთის განვითარებისთვის, ვფიქრობთ, ძალიან ცუდია.

თუმცა კარგზე ვლაპარაკობდით. კარგია ისიც, რომ ჩემპიონატის გეოგრაფიას ახალციხის „მესხეთი“ და ზუგდიდის „მგლები“ აფართოვებენ. სხვათა შორის, ამ გუნდებს საკუთარ არენებზე გულშემატკივართა დასწრების პრობლემაც არ აქვთ.

გულშემატკივართა დასწრება — კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა. რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ, რამდენი მაყურებელი დაესწრო „დინამო“ — „ვადუცისა“ და „ამერი“ — „ბელხატუვის“ თამაშებს. არადა, აქსიომაა, რომ სავსე ტრიბუნების წინ ფეხბურთიც უკეთესია ხოლმე. და არც ის არის გამართლება, ვთქვათ, ფეხბურთი უკეთესი რომ იქნება, მაშინ მოვა მაყურებელიო. მაყურებელმაც უნდა შეიტანოს წვლილი ფეხბურთის ხარისხიანობაში სტადიონზე დასწრებით.

მოკლედ, მოდით სტადიონებზე, დღეს ჩემპიონატი იწყება!

**კოტე კეკელია**

ახალციხე. 10 აგვისტო. 17.30 საათი. ცენტრალური

### მესხეთი — მგლები

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, დ. კურტანიძე, ი. კაკაბაძე, გ. დოგრაშვილი

ზესტაფონი. 10 აგვისტო. 17.30 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე, მ. ურუშაძე

თბილისი. 10 აგვისტო. 18 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი — ამერი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ს. სპიცინი, ზ. ერქვანია, ვ. გუმბერიძე

გორი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — ბათუმი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, თ. ხუჭუა, ი. მაჩიტაძე, ო. ხეცაძე

რუსთავი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. ფოლადი

### ოლიმპი — დინამო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. კვარაცხელია

ბოლნისი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — სპარტაკი

მსაჯები: კ. ჭაჭუა, ზ. ჯვარიძე, კ. გაბრიაძე, ლ. სილაგავა

თბილისი. 12 აგვისტო. 17.30 საათი. შევარდენი

### ბორჯომი — მერანი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ა. კრიჭაშვილი

## პირველი ლიგის პირველი ტური

**საქართველოს** ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება პროფლიგამ ათ-ათგუნდიან აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად რომ დაყო, გეცოდინებათ.

გუშინ გაირკვა, როგორ დაწყვილდნენ გუნდები პირველ ტურში. სრული კალენდარი კი დღე-დღეზე დამტკიცდება...

**აღმოსავლეთი ზონა**

**პირველი ტური**

მეშაძრე აგარა — ნორჩი დინამოელი-მერანი 2 თბილისი

გაგრა გაგრა — ვიტ ჯორჯია 2 თბილისი

ამერი 2 თბილისი — კახეთი

ოლიმპი 2 რუსთავი — ჩიხურა საჩხერე

ოლიმპიკი თბილისი — დინამო 2 თბილისი

**დასავლეთი ზონა**

**პირველი ტური**

ტორპედო ქუთაისი — მაღაროელი ჭიათურა

მეშახტე ტყიბული — კოლხეთი ხობი

ფაზისი ონი — ზესტაფონი 2 ზესტაფონი

მერანი მარტვილი — უნივერსიტეტი ქუთაისი

სამტრედია სამტრედია — კოლხეთი ფოთი

*მატჩები 18, 19 და 20 აგვისტოს გაიმართება.*

### შვედეთი

სუპერეტა

XVIII ტური

იოსტერსი 2:3 ბუნკეფლო

იორგრიტე 1:2 ლიუნგსკილე

სირიუსი 1:2 ატვიდაბერგი

ლანდსკრონა 4:0 სილვია

იოკოპინგი 2:2 დეგერფორსი

ნორჩიოპინგი 5:0 მიალბი

სუნდსვალი 1:1 ენჩიოპინგი

ფალკენბერგი 0:1 ჰეკენი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVI ტური

ჰონკა 1:1 ვიკინგიტი

იარო 0:0 ჰიკ

მიუპა 0:3 ჰაკა

### ისლანდია

პრიმერადივიზიონი

XII ტური

ფრემი 2:4 აკრანესი

ფილკირი 1:0 ვიკინგური

კეფლავიკი 0:3 ბრეიდაბლიკი

### ამხანაგური მატჩები

ბრედა 0:0 ხეტაფე

ბეტისი 1:0 მილანი

უელვა 2:2 სარაგოსა

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — განაცხადები

### ოლიმპი

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

**მეკარეები**

1 მირზა მერლანი 05.10.80
12 მიხეილ ალავიძე 05.11.87
21 მიხეილ ხარშილაძე 1989

**მცველები**

2 დავით ქიჭვეიშვილი 23.01.75
4 მიხეილ მახვილაძე 22.07.78
5 გიორგი ნავალოვსკი 28.06.86
6 ერნესტ აკუასაგა 16.10.85
7 ლევან სილაგაძე 04.08.76

**ნახევარმცველები**

9 ლაშა ქებაძე 27.08.83
11 გიორგი კახელიშვილი 22.05.87
13 რევაზ გეწაძე 11.01.85
15 ალექსანდრე კოშკაძე 04.12.81
17 ვლადან ჟივკოვიჩი 06.06.82

**თავდამსხმელები**

8 ვლადიმერ დვალიშვილი 20.04.86
10 ჯაბა დვალი 02.08.85
16 რევაზ ჯიქია 01.09.80

### დინამო

მწვრთნელი: დუშან უჰრინი

**მეკარეები**

1 გიორგი ლორია 27.01.86
12 დიდიე ოვონო 23.01.83
30 იოსებ გრიშიკაშვილი 25.12.73

**მცველები**

3 გულვერდ თომაშვილი 13.10.88
7 გურამ კაშია 07.04.87
16 მილოშ კრშკო 23.10.79
21 ოლეგ გველესიანი 16.09.80
22 შოთა კაშია 22.10.84
24 ნედ ზელიჩი 07.04.71
27 რომან დობეში 29.07.79

**ნახევარმცველები**

8 ლევან ხმალაძე 04.06.85
10 მიხეილ ხუციშვილი 28.01.79
11 გიორგი ფეიქრიშვილი 28.02.83
17 გიორგი მერებაშვილი 15.08.86
18 დავით ოდიკაძე 14.04.81
19 სანდრო კობახიძე 02.11.87
23 ნიკოლოზ ფირცხალავა 15.05.87
81 დავით დიღმელაშვილი 18.01.80

**თავდამსხმელები**

9 ილია სპასოევიჩი 09.11.87
20 ბორის გონჩაროვი 08.07.79
26 ჟორჟ აკიემი 23.04.82

### ამერი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

**მეკარეები**

1 ლადო ნადირაშვილი 12.02.84
16 ზურაბ ქვაჩახია 25.09.73

**მცველები**

4 გიორგი ელბაქიძე 26.08.88
5 გიორგი დავითნიძე 18.07.78
6 დავით მჭედლიშვილი 05.04.88
21 ვლადიმერ კაკაშვილი 12.02.84
24 ვახტანგ ხვადაგიანი 04.04.74
27 გივი დიდავა 21.03.76
30 მიხეილ კობაური 11.06.82
32 თენგიზ ჩიკვილაძე 12.08.83

**ნახევარმცველები**

10 გიორგი დეკანოსიძე 02.01.81
13 კობა შალამბერიძე 15.10.84
14 გიზო ჯელაძე 17.05.75
15 გიორგი ვარდოსანიძე 06.03.88
17 დავით ბოლქვაძე 05.06.80
19 მიხეილ მესხი 07.04.78
20 არჩილ ალავიძე 06.10.85
22 გრიგოლ დოლიძე 25.10.82
23 დენის დობროვოლსკი 10.10.85

**თავდამსხმელები**

7 სულიკო დავითაშვილი 11.12.77
9 ბესიკ ჩიმაკაძე 24.06.88
11 რატი წინამძღვრიშვილი 22.03.88
18 დიმიტრი ტატანაშვილი 19.10.83
31 რევაზ გოცირიძე 17.01.81
33 ბაჩანა ცხადაძე 23.10.87

### ზესტაფონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

**მეკარეები**

გრიგოლ ჭანტურია 25.09.73
როინ კვასხვაძე 31.05.89
ნიკოლოზ ჯალაღონია 18.02.88

**მცველები**

კახაბერ ჩხეტიანი 24.02.78
ედიკ საჯაია 16.02.81
სევასტი თოდუა 13.05.76
შალვა ღონღაძე 17.08.78
ედსონ სანტოსი 21.09.80
როინ ონიანი 14.06.74
გიორგი ხიდეშელი 23.01.88
ბორის გელაჭეიშვილი 30.01.88
გიორგი ხუმარაშვილი 24.08.89
ირაკლი შარანგია 29.03.89
ზურაბ ბახტურიძე 28.02.86
დათო ბერუაშვილი 21.09.89

**ნახევარმცველები**

ჟილვან ვიეირა 09.04.84
ნიკოლოზ კვასხვაძე 15.04.88
მურთაზ დაუშვილი 01.05.89
გიორგი გავაშელაშვილი 31.10.89
ამირან სანაია 03.09.89
ირაკლი ძარია 01.12.88
თორნიკე გორგიაშვილი 27.04.88
ალექსი ბენაშვილი 20.03.89
ჟონატას ტორესი 14.04.84
ირაკლი მაისურაძე 22.08.88
პოლი კესანი 16.04.85
ლაშა საცერაძე 10.05.90

**თავდამსხმელები**

ზურაბ იონანიძე 02.12.71
გოგი ფიფია 04.02.85
დავით ჯანელიძე 12.09.89
გაგა ჩხეტიანი 24.06.83
ლაშა გაბრიჭიძე 21.02.89

### ბორჯომი

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

ბექა შეყრილაძე 28.02.83
თეიმურაზ ღონღაძე 08.09.85
გივი ქარქოზაშვილი 20.09.86
კობა ხანიშვილი 29.07.84
ამირან ყველაშვილი 10.02.85
შოთა ჯიქია 30.12.84
შოთა გრიგალაშვილი 21.06.86
ლევან მერებაშვილი 06.06.79
გიორგი მემარნიშვილი 23.03.82
დავით გოგიჩაიშვილი 4.06.86
შოთა ბაბუნაშვილი 17.11.80
გიორგი ნერგაძე 20.08.82
ლაშა ჭელიძე 13.03.85
ლევან აკობია 11.02.80
ვალერი კაციტაძე 17.01.85

### ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გრიგოლ ბედიაშვილი 02.02.80
შოთა ლურჩელიშვილი 12.02.85
დავით ლომაია 18.05.85
პაველ დათუნაიშვილი 25.08.83
ალექსანდრე კვახაძე 17.08.84
ლუკა რაზმაძე 30.12.83
გიორგი მელქაძე 24.11.84
გიორგი დათუნაიშვილი 09.02.85
ვასილ ლუჟაშვილი 25.01.85
ზაზა სახოკია 12.02.84
ლაშა ჯაფარიძე 16.04.85
გიორგი ბერიაშვილი 10.09.86
გიგა ბეჭვაია 29.08.86
რევაზ ინჯგია 02.01.86

### ბათუმი

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

დავით გალოგრე 09.01.81
ლევან მახარაძე 08.06.86
ირაკლი ცანავა 28.10.85
არჩილ ფარტენაძე 07.08.87
ვასილ კუნჭულია 24.09.85
გიორგი ოქრუაშვილი 12.06.86
გენო ბეჟანიძე 16.11.84
ამირან გოგიტიძე 14.02.87
კარენ მაკარიანი 03.03.88
არჩილ ბაჯელიძე 07.04.86
ირაკლი ტულუში 08.09.85
ირაკლი თოთლაძე 16.03.84
შოთა მამინაშვილი 30.08.86
ბესიკ დემურაძე 19.09.86
ბეგლარ თედორაძე 25.10.83
ვიტალი დარჩიძე 02.05.81
მიხეილ კალანდარიშვილი 20.04.87
ირაკლი ნაჭყებია 29.10.85

### მერანი

მწვრთნელი: თამაზ კოსტავა

კონსტანტინე სეფიაშვილი 19.03.86
ლევან სარალიძე 08.04.86
ბექა ნოზაძე 09.02.82
ლაშა ჯანგიძე 11.05.83
ზურაბ ავალიანი 20.05.79
ვაჟა ლომაშვილი 04.09.85
მანუჩარ ნიქარიშვილი 28.04.85
გიორგი კილასონია 21.05.86
ვლადიმერ გოჩაშვილი 05.07.76
გიორგი ლოლაძე 19.10.80
გიორგი ტყეშელაშვილი 24.08.85
თეიმურაზ ფურთუხია ▯ 23.09.84
კონსტანტინე ავალიანი 20.10.85
თენგიზ კობიაშვილი 03.12.85
ლევან გრიგალაშვილი 27.01.86
გიორგი ქორიძე 19.07.76

### სპარტაკი

მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

დიმიტრი პარამონოვი 08.02.80
ბესიკ ხაჭიპერიძე 19.12.84
კახაბერ ცქვიტაია 27.09.84
დავით გოგოლაძე 24.09.79
გიორგი კეტაშვილი 02.01.87
გიორგი ხიდაშელი 21.11.85
მაქსიმე ქვილითაია 17.09.85
გიორგი ივანიშვილი 12.07.87
ნუკრი გოგოხია 07.02.88
გიორგი დარბაიძე 24.12.89
თარხნიშვილი თორნიკე 30.08.90
ბესიკ კოდალაევი 21.02.82
ვახტანგ კეკოშვილი 13.12.86
ნიკოლოზ ქავთარაძე 17.05.88
ლაშა მამუკაშვილი 24.05.85

### სიონი

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

მინდია ბობღიაშვილი 02.08.83
დავით სვანიძე 14.10.79
გიორგი ოქროპირიძე 01.03.86
ლევან ბაჯელიძე 02.10.78
ბესიკ ქარდავა 12.11.83
თეიმურაზ რაქვიაშვილი 15.10.83
ერიკ რომეო ჩასემი 09.02.85
ბოიომო ფრიდოლინი 04.08.82
გიორგი პაპუაშვილი 02.04.86
ზვიად ქუთათელაძე 01.08.79
მანუჩარ კვიციანი 16.01.83
მამუკა მენთესაშვილი 15.09.87
მიხეილ ბუცხრიკიძე 03.04.85
გიორგი თავბერიძე 07.03.87
გიგა იაშვილი 27802.86
გიორგი რეხვიაშვილი 15.04.86
დავით ასლანიძე 16.11.76
ლევან სანიკიძე 09.06.82
ვალერიან გაგუა 26.02.80

### ლოკომოტივი

მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

გიორგი მიქაძე 10.12.80
ირაკლი სამხარაძე 12.02.83
აკაკი ქუხილავა 20.01.83
ომარ მიგინეიშვილი 02.06.84
დავით გვარამაძე 08.11.75
დაჩი ფოფხაძე 27.01.84
ნიკა გუშარაშვილი 25.07.83
მიხეილ ჟღენტი 24.06.85
გიორგი გულორდავა 06.04.87
გიორგი ალავერდაშვილი 21.11.87
გიორგი კვახაძე 16.08.81
ირაკლი მალიჩავა 03.07.84
ალექსანდრე ლალაძე 12.04.85
გაგა კირკიტაძე 18.10.87
ლერი ხოხონიშვილი 15.11.87
ლევან ჩაგელიშვილი 10.01.87
დავით ჩაგელიშვილი 10.01.87

### მესხეთი

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გიორგი სომხიშვილი 27.11.80
პაატა გვირჯიშვილი 17.02.78
მიხეილ თაყაძე 21.07.79
ვახტანგ აკოფიანი 15.08.75
დიმიტრი ლეკიშვილი 17.10.81
ზაზა კობესაშვილი 12.09.72
მამუკა რუხია 27.11.74
დავით ინასარიძე 24.02.76
ალექსანდრე კაიდარაშვილი 02.11.78
გელა ძამუნაშვილი 31.03.81
თემურ აფრიამაშვილი 08.02.86
გიგა ჟვანია 16.01.82
გიორგი ნადირაშვილი 27.02.83
ზურაბ სუდაძე 9.12.82
ზურაბ ბარძიმაძე 05.04.84
ლაშა მამუკაშვილი 24.05.85
გიორგი თურმანიძე 29.02.73

### დილა

მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე

ნიკოლოზ სადალაშვილი 10.10.88
თამაზ ილურიძე 04.11.75
ივანე თაყაძე 05.02.86
გიორგი ბალაშვილი 07.08.73
გურამ სამადაშვილი 05.02.86
საბა სულთანიშვილი 04.04.79
დავით ხანიშვილი 27.04.82
ბექა ჩიტაია 02.04.80
დავით ტლაშაძე 17.12.87
იოსებ კურტაიძე 09.04.87
ნოდარ ნოზაძე 11.06.87
გიორგი მასურაშვილი 04.07.84
გიორგი იჩქითი 29.04.90
ქრისტეფორე შატაკიშვილი 04.08.79
ზაზა ლაცაბიძე 05.10.75
ლაშა ბალიაშვილი 21.09.88
ბესიკ კეჩხუაშვილი 27.06.87
ზურაბ შერმადინი 15.01.88
ილია ლომიძე 04.11.89

### მგლები

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

აკაკი დევაძე 28.11.71
დავით ქირია 08.02.82
ლევან ვართაგავა 10.08.81
დავით ნარსია 03.08.82
ვლადიმერ ლიპარტია 30.03.81
გელა ხუბუა 25.01.84
მამუკა ჭკადუა 14.11.85
ზურაბ ექონია 07.06.84
პაატა ბაკარაძე 20.03.82
გიორგი კრასოვსკი 20.12.79
ვლადიმერ ჯოჯუა 05.12.80
მანუჩარ ივარდავა 23.07.80
თეიმურაზ ფარულავა 20.07.83
ლევან კუტალია 19.07.83
ნიკა ხუხია 31.08.88
დავით კუტალია 15.12.89
ნოდარ მაჭავარიანი 14.01.87
გიორგი გაბედავა 03.10.89
გიორგი ქედია 28.08.88
ბექა ტაბატაძე 03.02.86
ლევან წურწუმია 28.01.89
პაპუნა ქომეთიანი 03.04.88
მურთაზ კაკაბაძე 28.07.87
ზამირ ჯანაშია 26.02.88

**განაცხადები არ არის საბოლოო. სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს იხურება**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
### უმაღლესი ლიგა კალენდარი

### პირველი წრე

**პირველი ტური**

10 აგვისტო, პარასკევი
მესხეთი – მგლები
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ამერი

11 აგვისტო, შაბათი
დილა – ბათუმი
ოლიმპი – დინამო
სიონი – სპარტაკი

12 აგვისტო, კვირა
ბორჯომი – მერანი

**მეორე ტური**

17 აგვისტო, პარასკევი
მგლები – მერანი
სპარტაკი – ბორჯომი
ამერი – დილა

18 აგვისტო, შაბათი
ბათუმი – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
მესხეთი – ზესტაფონი

19 აგვისტო, კვირა
დინამო – სიონი

**მესამე ტური**

24 აგვისტო, პარასკევი
ლოკომოტივი – მესხეთი
დილა – ვიტ ჯორჯია
მერანი – სპარტაკი
სიონი – ბათუმი

25 აგვისტო, შაბათი
ბორჯომი – დინამო
ზესტაფონი – მგლები
ოლიმპი – ამერი

**მეოთხე ტური**

31 აგვისტო, პარასკევი
ზესტაფონი – ლოკომოტივი

1 სექტემბერი, შაბათი
მგლები – სპარტაკი
ბათუმი – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი

2 სექტემბერი, კვირა
ამერი – სიონი
დინამო – მერანი
მესხეთი – დილა

**მეხუთე ტური**

14 სექტემბერი, პარასკევი
ლოკომოტივი – მგლები
დილა – ზესტაფონი
ოლიმპი – მესხეთი
სიონი – ვიტ ჯორჯია

15 სექტემბერი, შაბათი
ბორჯომი – ამერი
მერანი – ბათუმი
სპარტაკი – დინამო

**მეექვსე ტური**

22 სექტემბერი, შაბათი
ზესტაფონი – ოლიმპი
ლოკომოტივი – დილა
ბათუმი – სპარტაკი

23 სექტემბერი, კვირა
მგლები – დინამო
ამერი – მერანი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
მესხეთი – სიონი

**მეშვიდე ტური**

28 სექტემბერი, პარასკევი
დილა – მგლები
სიონი – ზესტაფონი
ბორჯომი – მესხეთი
მერანი – ვიტ ჯორჯია

29 სექტემბერი, შაბათი
ოლიმპი – ლოკომოტივი
სპარტაკი – ამერი
დინამო – ბათუმი

**მერვე ტური**

5 ოქტომბერი, პარასკევი
მესხეთი – მერანი

6 ოქტომბერი, შაბათი
მგლები – ბათუმი
ამერი – დინამო
დილა – ოლიმპი

7 ოქტომბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია – სპარტაკი
ზესტაფონი – ბორჯომი
ლოკომოტივი – სიონი

**მეცხრე ტური**

19 ოქტომბერი, პარასკევი
სიონი – დილა
ბორჯომი – ლოკომოტივი
დინამო – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ამერი

20 ოქტომბერი, შაბათი
სპარტაკი – მესხეთი

21 ოქტომბერი, კვირა
მერანი – ზესტაფონი
ოლიმპი – მგლები

**მეათე ტური**

27 ოქტომბერი, შაბათი
მგლები – ამერი
დილა – ბორჯომი
მესხეთი – დინამო

28 ოქტომბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ზესტაფონი – სპარტაკი
ლოკომოტივი – მერანი
ოლიმპი – სიონი

**მეთერთმეტე ტური**

9 ნოემბერი, პარასკევი
ბორჯომი – ოლიმპი
ბათუმი – მესხეთი

10 ნოემბერი, შაბათი
ამერი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – ლოკომოტივი
სიონი – მგლები

11 ნოემბერი, კვირა
მერანი – დილა
დინამო – ზესტაფონი

**მეთორმეტე ტური**

23 ნოემბერი, პარასკევი
სიონი – ბორჯომი
მგლები – ვიტ ჯორჯია
დილა – სპარტაკი
ოლიმპი – მერანი

24 ნოემბერი, შაბათი
მესხეთი – ამერი
ზესტაფონი – ბათუმი
ლოკომოტივი – დინამო

**მეცამეტე ტური**

1 დეკემბერი, შაბათი
სპარტაკი – ოლიმპი
ბათუმი – ლოკომოტივი
ამერი – ზესტაფონი

2 დეკემბერი, კვირა
დინამო – დილა
ვიტ ჯორჯია – მესხეთი
ბორჯომი – მგლები
მერანი – სიონი

# თქვენ რა იცით, მე რომ ვიცი
## ზურაბ ჯაფარიძემ აღკვეთილ ზონაში შეგვიშვა



**„რამდენი ხანია, პრესასთან არ მილაპარაკია, ახლა კი, ვფიქრობ, ამის დრო დადგა. მინდა, ხალხმა რუსთავის „ოლიმპიდან“ ჩემი წამოსვლის ნამდვილი მიზეზი იცოდეს“ — ეს სიტყვები გუშინ „სარბიელს“ ზურაბ ჯაფარიძემ უთხრა, მერე კი სხვაზეც გვესაუბრა...**



— რა გახდა „ოლიმპიდან“ თქვენი წამოსვლის მიზეზი?

— რამდენიმე დღის წინ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა დამიბარა და მითხრა, საერთო აზრით, კლუბს უნდა ჩამოშორდეთო. მეც ავდექი და წამოვედი. რადგან ასე ჩათვალეს საჭიროდ, აღარც ჩავძიებივარ.

— გული გწყდებათ?

— ცუდია, მაგრამ რას ვიზამ. ჯერ „ბათუმი“ იყო — თუ გახსოვთ, მეორე წრეში დაგროვილი ქულებით მაშინ პირველები ვიყავით. შემდეგ ინვესტორმა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა შეისყიდა და რუსთავში წამოვედით. ამ ქალაქს უმაღლეს ლიგაში გუნდი არ ჰყავდა, მამუკა გუგეშაშვილს შევუამხანაგდი და „ოლიმპი“ შევქმენით. ყველაფერმა ჩემი და ჩემი მეგობრების კისერზე გადაიარა და, ვფიქრობ, კარგი ისტორიაც გამოვიდა — რუსთავის „ოლიმპი“ პირველივე წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

— მაინც რის ხარჯზე მოახერხა „ოლიმპმა“ ეს?

— მეგობრული გუნდი გვყავდა, ყველამ თავისი საქმე იცოდა და ასეთ შედეგსაც ამიტომ მივაღწიეთ.

— „ბათუმამდე“ და „ოლიმპამდე“, ბოლნისის „სიონში“ იყავით...

— ბოლნისის ფეხბურთისთვის ცოტა პრ გამიკეთებია — სტადიონი ჩემი აშენებულია და გუნდმა უეფას თასზე ბოლნისში ითამაშა. ეს არ იყო პატარა ამბავი.

— „ოლიმპს“ დავუბრუნდეთ. პირველ წრეში პირველი ადგილი დაიკავეთ, თუმცა მწვრთნელი გიორგი კიკნაძე გუნდიდან მაინც გაუშვით...

— გიორგი კიკნაძესა და ზაზა ზამთარაძეს, როგორც მწვრთნელებს, საქართველოში არავინ იცნობდა. ჩვენ ვენდეთ და მათაც გაამართლეს. პირველი წრის დასრულების შემდეგ კი ისეთი პირობები წამოგვიყენეს, რაც ჩვენთვის მიუღებელი იყო. ამიტომაც დავშორდით — არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა. ასეთ დროს, ბუნებრივია, კლუბის ხელმძღვანელები გამოცდილ მწვრთნელზე დავფიქრდით, რათა პირველ წრეში მოპოვებული უპირატესობა შეგვენარჩუნებინა.

— რევაზ ძოძუაშვილიც მოვიდა და გუნდიც გაჩემპიონდა...

— მაგრამ ძოძუაშვილის დანიშვნა ახლაც მცდარ ნაბიჯად მიმაჩნია. კი, მისი დამსახურებაც არის, ჩემპიონები რომ გავხდით, მაგრამ არა იმხელა, როგორც თვითონ ამბობს. რამდენიმე მაგალითს გეტყვით და თავად განსაჯეთ: პირველ წრეში ოთხი ქულით მეტი ავიღეთ, ვიდრე მეორეში, არადა, ყველა ლიდერს შინ ვიღებდით და ვერავის მოვუგეთ. თანაც ისეთი ფეხბურთელებით გავძლიერდით, როგორებიც მერლანი, ჭიჭველაშვილი, ნავალოვსკი და არზიანი არიან. ძოძუაშვილმა კი შუა სეზონში სრულიად უმიზეზოდ გაუშვა გუნდიდან არზიანი, რომელმაც შემდეგ რუსეთის პირველ დივიზიონში მშვენივრად ითამაშა. ერთი გელა ხუბუას და გიორგი კახელიშვილს ჰკითხეთ, რატომ არ აყენებდა შემადგენლობაში.

— თქვენ შორის შუა სეზონში კონფლიქტიც მოხდა — ძოძუაშვილმა თქვა, ჯაფარიძე ჩემს საქმეში ერევაო...

— მხოლოდ ერთხელ ჩავერიე, თბილისის „დინამოსთან“ მატჩის წინ. გუნდის უფროსობამ და ფეხბურთელებმა დამირეკეს, ძოძუაშვილი გიორგი სეთურიძის სასტარტოში დაყენებას არ აპირებსო. მეც მივედი და გიორგის მიზეზი ყველასთან ერთად ვკითხე. მიპასუხა, ტრავმა არ მაწუხებს და სათამაშოდ მზად ვარო. ძოძუაშვილი კი მეუბნება, ხუთი დღის წინ დისციპლინა რომ დაარღვია, იმიტომ არ ვათამაშებო. როგორც იქნა, ვაიძულე, სეთურიძე ეთამაშებინა და გიორგი მატჩში აშკარად საუკეთესო იყო. და, იცით, თურმე რაში ყოფილა საქმე? სეთურიძის მამა მოვიდა და გვითხრა, რომ ძოძუაშვილს თამაშის წინა დღეს გიორგისთვის უთქვამს, თუ ჩემთან პირად კონტრაქტს არ გააფორმებ, მოედანს არ გაღირსებო. აი, ასეთ კაცთან გვქონდა საქმე!

— და თუ ასე იყო საქმე, რატომ მანამდე არ დაითხოვეთ?

— ყველაფერს გეტყვით. გუნდი ძალიან ცუდ ფეხბურთს თამაშობდა — კინკილა გოლებით ძლივს მოვუგეთ „ბორჯომს“ და „მერანს“. ჰოდა, ძოძუაშვილთან ბადრი ქარქაშაძე და მამუკა გუგეშაშვილი მიჭიდნენ და უთხრეს, ფეხბურთელები ხომ არ გადაიწვნენ, სამედიცინო შემოწმება ჩავატაროთო. ამაზე ძოძუაშვილი გადაირია და ერთ-ერთ მათგანს ხელითაც შეეხო. ეს რომ შევიტყვე, მისი დათხოვნა მინდოდა, მაგრამ მიხვდა და დამასწრო — სეზონს ჩავამთავრებ და მე თვითონ წავალო. ახლა რომ ამბობს, თურქეთში მივდივარო, როგორ, საიდან?! საერთოდაც, ჩემი აზრით, მწვრთნელობის მეთოდები ძალიან დაუძველდა. ძოძუაშვილს არც ერთი თავმოყვარე გუნდი მწვრთნელად აღარ აიყვანს. ჩვენთან რომ სელექცია ჩაატარა, ორასი ფეხბურთელიდან ორი დაიტოვა — თამაშზე მათ რომ შეიყვანდა, მაყურებლები სიცილით იხოცებოდნენ. ბურთსაც კი ვერ აჩერებდნენ...

— შემდეგ კი მწვრთნელად ვარლამ კილასონია დაინიშნა...

— ახალგაზრდა, შრომისმოყვარე (?), რუსთაველი კაცია. ერთ დღეში ვერც ერთი მწვრთნელი ვერ შეძლებს გუნდის გაკეთებას. მას უნდა დააცადონ. ჩემი აზრით, ახლანდელი „ოლიმპი“ ცუდი გუნდი არ არის.

— და როგორ ფიქრობთ, „ოლიმპს“ „ასტანასთან“ ასე სამარცხვინოდ უნდა წაეგო?

— არა, მაგრამ არის რამდენიმე ფაქტორი, რაც უნდა გავითვალისწინოთ. ყაზახებს სეზონი დაწყებული ჰქონდათ, ჩვენ კი სულ რამდენიმე ტესტ-მატჩი ვითამაშეთ. საპასუხო მატჩში კი რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ამას დაუმატეთ ჭიჭველაშვილის და ქებაძის ტრავმები და ჯიქიას გაძევება. ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, არ წავაგებდით. „ასტანას“ რა ბიუჯეტიც აქვს, მთელ ქართულ ფეხბურთს ეყოფა. ასე რომ, სანამ მყარი ბიუჯეტი არ ექნებათ ქართულ გუნდებს, წაგება ნუ გაგვიკვირდება.

— ისე გამოდის, გამოსავალი არ არსებობს...

— ქართულ ფეხბურთში ფული უნდა ჩაიდოს. დღეს ჩვენი ფეხბურთი ოთხ-ხუთ მაღლიან ბიზნესმენზე ჰკიდია, ისინი რომ არა, ქართული ფეხბურთი მოკვდებოდა.

— ბოლოს ერთიც: სხვა ქართული კლუბებიდან შემოთავაზება ხომ არ მიგიღიათ?

— ორი წინადადება მაქვს — ერთი თბილისური გუნდია, მეორე კი დასავლეთში და ვნახოთ...

**ნუკრი ლოლაძე**




# დინამო სეზონს შამპანურით იწყებს

თბილისის „დინამოს“ ტრადიცია არ დაარღვია და როგორც აქამდე ხდებოდა ხოლმე, სეზონისწინა პრესკონფერენცია-მიღება გამართა. დიღმის ბაზაზე იყვნენ სტუმრებიც — კომპანია „ბეკოს“ წარმომადგენლები, რომლებმაც „დინამოს“ მმართველ დირექტორ ბუბა ტყავაძესთან ერთად ხელი მოაწერეს სპონსორული კონტრაქტის კიდევ ერთი სეზონით გახანგრძლივებას. „დინამოს“ სპონსორი წლეულსაც „ბეკო“ იქნება და ამ ამბავთან დაკავშირებით ბუბა ტყავაძემ ასეთი რამ თქვა...

## ბეკოსთან ერთად: ახლა ჩემპიონობის დროა

— უკვე ორი სეზონია, „ბეკოსთან“ ვთანამშრომლობთ და შედეგსაც ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ. შარშანწინ მესამე ადგილზე ვიყავით, წინა ჩემპიონატში მეორეზე გავედით, ახლა კი ჩემპიონები უნდა გავხდეთ.

„ბეკოსთან“ კონტრაქტის გახანგრძლივების შემდეგ „დინამომ“ ის ახალწვეულები წარადგინა, რომლებიც გუნდმა ახალი სეზონისთვის დაიმატა. ბუბა ტყავაძემ და სპორტულმა დირექტორმა ამირან ღიბრაძემ ოლეგ გველესიანს 21-ნომრიანი მაისურა გადასცეს, გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო 12 ნომრით ითამაშებს, ასევე გაბონელი, თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი 26 იქნება, ხოლო ჩეხი მცველი რომან დობეში — 27.

„დინამოს“ მწვრთნელმა დუშან უჰრინმა და ბუბა ტყავაძემ კი შემდგომ ჩვენს კითხვებს უპასუხეს...

*ბუბა ტყავაძე:* წლეულს ჩემპიონობისთვის ალბათ ისევ ის გუნდები იბრძოლებენ, რომლებიც წინა სეზონშიც ლიდერთა შორის იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე ჩანს. ისე კი, სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტომდე ღიაა და იქამდე, შესაძლოა, სხვა გუნდებიც გაძლიერდნენ.

— ჩვენ უეფას თასზე ვთამაშობთ და, ცხადია, შეკრებაც და ტრანსფერებიც ამის შესაბამისად დავგეგმეთ. ის ფეხბურთელები მოვიწვიეთ, რომლებიც მწვრთნელს სჭირდებოდა. ვფიქრობ, ახალი სეზონისთვის გუნდი უკვე დაკომპლექტებულია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ 31 აგვისტომდე ფეხბურთელებს აღარ დავიმატებთ. თუ გამოჩნდა საინტერესო ფეხბურთელი, ტრანსფერს არ მოვერიდებით.

— „დინამოს“ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვადუცთან“ პირველი მატჩიც სტუმრად უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ, რადგან ჩვენი და „ამერის“ საპასუხო მატჩები თბილისში ერთმანეთს ემთხვეოდა, უეფამ ერთპიროვნულად გადაწყვიტა, ჩვენ ჯერ თბილისში გვეთამაშა. ასე იყო ახლაც, ავსტრიიდან უეფას თასზე ოთხი გუნდია და „რაპიდთან“ პირველი მატჩი ვენაში რომ ყოფილიყო, მაშინ ამ ოთხი ავსტრიული გუნდიდან სამი ერთდროულად იქნებოდა მასპინძელი. ამიტომაც უეფამ ეს ვარიანტი გააშუალედა და 16 აგვისტოს ორი ავსტრიული გუნდი შინ ითამაშებს, ორიც სტუმრად, მათ შორის „რაპიდიც“.

— რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს. „ტორპედოს“ საკითხი ალმასკომის ორ სხდომაზე განიხილებოდა და როცა საშველი აღარ გამოჩნდა, საბოლოო გადაწყვეტილებაც მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდა. პირველ ალმასკომზე ვთქვი, რომ არ აჩქარებულიყავით და „ტორპედოსთვის“ მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო მიგვეცა. შემდეგ ფედერაციიდან და პროფლიგიდან ქუთაისელებთან ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ, „ტორპედო“ არაერთხელ გააფრთხილეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა.

*დუშან უჰრინი:* წინა კვირას უეფას თასზე ჩვენი მეტოქის, „რაპიდის“ მატჩს ვენაში დავესწარი და იმის შემდეგ ამ გუნდზე ბევრი აღარ მიფიქრია. ახლა მთლიანად საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურზე, ჩემპიონ „ოლიმპთან“ შეხვედრაზე ვარ კონცენტრირებული. ჩემპიონატის პირველი მატჩი ყოველთვის ძნელია და ჩვენც მძიმე თამაშისთვის ვემზადებით. „ოლიმპი“ — „ასტანას“ ამასწინანდელი მატჩის ფირს ვნახავთ და ფეხბურთელებს შესაბამის დავალებას მივცემ. სხვათა შორის, ამ შეხვედრის პირველ ტაიმში რუსთაველებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მოკლედ, ძლიერი მეტოქე გვყავს, თუმცა ძველი შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ და ვეცადოთ, ჩემპიონატი სამი ქულით დავიწყოთ, მერე კი „რაპიდზე“ ვიფიქრებთ.

— კლუბის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათა „ვადუცთან“ საპასუხო მატჩის შემდეგ ავსტრიაში წავსულიყავი და „რაპიდი“ — „აუსტრიას“ საკმაოდ საინტერესო შეხვედრას დავსწრებოდი. ამ მატჩმა დამარწმუნა, რომ ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ არ გვეშინია. თამაში 0:0-ით იწყება და, შესაბამისად, დღესდღეობით შანსებიც თანაბარია.

— „რაპიდის“ ყველა საშინაო თამაშს 9 ათასი ქომაგი ესწრება, „აუსტრიასთან“ შეხვედრაზე კი 18-ათასიანი ტრიბუნები სავსე იყო. მატჩის მნიშვნელობაზე ესეც კარგად მიანიშნებს. პირველი ტაიმი თანაბარი იყო, ხოლო შესვენების შემდეგ „რაპიდი“ მეტოქეზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. თუმცა მატჩის ბოლოსკენ „აუსტრიას“ საგოლედ კარგი შანსი ჰქონდა. „რაპიდი“ 4-4-2 განლაგებით თამაშობს. საკმაოდ სახიფათო ფორვარდები ჰყავს, ორი ცენტრალური ნახევარმცველი კი უფრო დაცვაზეა აქცენტირებული. „რაპიდმა“ გუშინაც ითამაშა და „კერნტენს“ 4:0 მოუგო.

— მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩი თბილისშია, მაინც ვფიქრობ, რომ ბევრი რამ სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გაირკვევა. ფავორიტი „რაპიდი“ კი არის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უძლეველი მეტოქე გვყავს. ჩვენ მოსაგებად შესაძლებლობების ზღვარზე ვითამაშებთ.

— საქართველოს ნაკრებს ჰყავს მწვრთნელი და ჩემგან უხერხული იქნება, ვთქვა, რომელი დინამოელები იმსახურებენ ეროვნულ გუნდში თამაშს. ადრე ბევრჯერ მითქვამს, რომ სანდრო იაშვილისთვის ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება უნდა მიეცათ, მაგრამ ახლა ამასაც ვერ ვიტყვი, რადგან არ ვიცი, „თუნში“ გადასვლის შემდეგ სანდრო როგორ ფორმაშია, როგორ გამოიყენა მან მოსამზადებელი პერიოდი. რამდენიმე დინამოელი ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული, ხოლო ახალგაზრდული და ეროვნული გუნდების მატჩები ერთმანეთს ემთხვევა. ორივე 22-ში თამაშობს და იქნებ ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ „დინამოს“ ფეხბურთელები ახალგაზრდულში გამოეძახებინათ.

*ბოლოს კი ორიოდ სიტყვა „დინამოს“ ახალწვეულებმაც თქვეს. ოთხივემ, „დინამოში“ მოსვლით ბედნიერები ვართ, ასეთ სახელოვან გუნდში თამაში საამაყოა და თანაგუნდელების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის, ასე მეგობრულად რომ მიგვიღეს და უცხოობა არ გვაგრძნობინეს...*

*„დინამომ“ შემდეგ შამპანურზეც მიგვიწვია და ტრადიცია ასეც გააგრძელა. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება, ბევრი კი ამბობს, დუშან უჰრინს წლეულს შარშანდელზე უკეთესი გუნდი ეყოლებაო...*

*ვნახოთ...*

**კობა ინასარიძე**

# ზესტაფონი ხმაურობს

## იმერლებს ლოკომოტივიდან გიორგი ჭელიძე ჩამოჰყავთ



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე ზესტაფონშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

ჯერჯერობით უცნობია, გააფორმა თუ არა კონტრაქტი იმერულ გუნდთან „პაჭელომ“, მაგრამ თუ საქმე გაიჩარხა, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ამ ზაფხულის ქართულ საფეხბურთო ბაზარზე.

ცოტა ხნის წინ ზესტაფონელები ოთარ მარცვალაძის, კოკა მიკუჩაძის, თორნიკე აფციაურის და ზურაბ არზიანის გადაბირებას აპირებდნენ, თუმც აქედან არაფერი გამოუვიდათ.

შეგახსენებთ, ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივს“ ეკუთვნის, ბოლოს კი ლუგანსკის „ზარიაში“ იყო განათხოვრებული და გუნდს უკრაინის უმაღლეს ლიგაში დარჩენაში დაეხმარა.

ჯერ ისიც გაურკვეველია, რანაირად მოხერხდება ჭელიძის „ზესტაფონში“ გადასვლა — იჯარით თუ სრული გამოსყიდვით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პრემიეროსანი ბოლნისელებმა ფრიდოლინი და ჩასემი ტრანსფერზე დააყენეს!

**ბოლნისის** „სიონს“ პრემიერპარტნიორი გამოუჩნდა — „პრემიერ-ბიზნესჯგუფი“, რომლის ხელმძღვანელიც კახა ფაჩულია გახლავთ.

„სიონსა“ და ამ ბიზნესჯგუფს შორის ხელშეკრულების პრეზენტაცია დღეს გაიმართება და სხვა სათქმელიც მაშინ ითქმება. პარტნიორობის ერთი-ორი დეტალი კი ახლაც ცნობილია. კერძოდ, „პრემიერის“ ხელშეწყობით ბოლნისელები წელიწადში ორჯერ შეკრებას მოაწყობენ, ამავე ბიზნესჯგუფის რესტორან „პრემიერში“ კი ქვემოქართლელები საპრეზენტაციო წვეულებებსაც გამართავენ. ამას გარდა, „სიონსა“ და ბიზნესჯგუფს თანამშრომლობის კიდევ ბევრი ვალდებულება აქვთ. ბოლნისელთა მხრიდან კი, ცხადია, უმთავრესი საქმე გუნდის საშინაო თამაშებზე „პრემიერის“ რეკლამირება იქნება.

და ერთი ამბავიც „სიონზე“: კლუბმა ტრანსფერზე დააყენა კამერუნელი ლეგიონერები — ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ რომეო ჩასემი.

**კობა ინასარიძე**

# გამოძიება მიდის, კომენტარი იქნება



**ზესტაფონში** მომხდარმა საზიზღრობამ, ბუნებრივია, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

სალად მოაზროვნე საზოგადოების უმრავლესობა „ზესტაფონის“ ბრაზილიელი ლეგიონერის, დოს სანტოსის მეუღლეზე ძალადობის დროულ გამოძიებას და დამნაშავის დასჯას ითხოვს.

გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით, რომ ამ ფაქტზე უკვე მუშაობენ სათანადო ორგანოები — იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ლევან კახიანმა კომენტარისგან თავი შეიკავა. პრესსამსახურმა კი გვითხრა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ოფიციალური კომენტარი არ გაკეთდება.

როგორც შევიტყვეთ, წინასწარი ინფორმაცია, სავარაუდოდ, ერთ კვირაში იქნება ცნობილი.

**ლუკა თალაკვაძე**

# ელოდეთ სულელების ზეობას!



AFP

სულელი უწოდა საკუთარ თავს ული ჰიონესმა იმის გამო, რომ აქამდე ძუნწობდა და ფული ენანებოდა კარგი ფეხბურთელების საყიდლად. „ბაიერნის" მენეჯერი ამ ზაფხულს მთლად გაგიჟდა — 70 მილიონი ევრო გაიმეტა ტრანსფერებისთვის, მთლიანად ბუნდესლიგელებმა კი 170 მილიონი დახარჯეს. „ბაიერნის" წილი ამ თანხაში თითქმის ნახევარია.
შედარებისთვის, 2001 წელს კლუბებმა ფეხბურთელების შესაძენად 147 მილიონი გაიღეს. დღეს იწყება 45-ე ბუნდესლიგა და გერმანელი მიმომხილველები თითს „ბაიერნისკენ" იშვერენ — ბავარიელები უმთავრესი ფავორიტები არიან...

## ბაიერნი

ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი და მიროსლავ კლოზე — მსოფლიოს ჩემპიონი, ვერცხლოსანი და საუკეთესო მეგოლე. ეს ტრიო უკვე საკმარისია საიმისოდ, რათა მიმომხილველებს „ბაიერნისკენ" მიეთითებინათ. ამას დავუმატოთ ჰამიტ ალტინტოპი, იან შლაუდრაფი, მარსელ იანსენი და ხოსე ერნესტო სოსაც და სეზონის წინ მოგებული გერმანიის ლიგის თასიც.

ული ჰიონესმა თქვა თასის ფინალის მერე, „ბაიერნის" თამაშს რომ ვუყურებ, სიცოცხლე მიხარიაო. გუნდმა ლიგის თასზე ის სამი მეტოქე დაამარცხა, რომლებმაც წინა ჩემპიონატში ცხრილში გაასწრეს — „ვერდერი", „შტუტგარტი" და „შალკე".

„ჩვენ შევეცდებით, ყველა ტურნირის მოგებას — განაცხადა ოტმარ ჰიცფელდმა — ძალიან ცუდი სეზონი გვქონდა და გამარჯვება გვწყურია!"

გერმანიის ოცგზის ჩემპიონი უეფას თასზე ითამაშებს. ბოლო 11 წელიწადში გუნდი ჩემპიონთა ლიგის მიღმა პირველად დარჩა.

ეს იქნება ბოლო სეზონი 38 წლის ოლივერ კანისთვის და მას კარიერის დასრულება ჯილდოებით უნდა.

ერთადერთი პრობლემა „ბაიერნში" ენაა — რიბერიმ და ტონიმ საყველპურო გერმანული არ იციან, მაგრამ, მწვრთნელის თქმით, ამასაც მალე მოევლება.

გუნდიდან კი წავიდნენ ოუენ ჰარგრივსი („მანჩესტერი"), როი მაკაი („ფეიენოორდი") და როკე სანტა კრუზი („ბლექბერნი").

## შტუტგარტი

„შტუტგარტმა" გაზაფხულზე ფოკუსი ჩაატარა — ჩემპიონატის დასრულებამდე რვა ტურით ადრე ერთმანეთს პირველობას „შალკე" და „ვერდერი" ეცილებოდნენ, მაგრამ არმინ ფეეს გუნდმა მიჯრით რვა მატჩი მოიგო და ბუნდესსასალათე დაისაკუთრა.

ჩემპიონმა ამ ზაფხულს ტრანსფერებში 10 მილიონი ევრო დახარჯა, მაგრამ ხარისხი შეიძინა. დონეცკის „შახტარიდან" რუმინელი ფორვარდი ჩიპრიან მარიკა იყიდა, „სარაგოსადან" ბრაზილიელი ევერტონი ითხოვა, „ნიურნბერგიდან" მეკარე რაფაელ შაფერი გადაიბირა და „ჰერტასთან" კონტრაქტდასრულებული ილდირაი ბაშთურქი დაიმატა.

„ჩვენ ახლა უფრო მეტი მოტივაცია გვჭირდება" — თქვა არმინ ფეემ, რომელსაც ყველაზე მეტად მარიო გომესის ეიმედება. წინა სეზონში 14 გოლის გამტან ფორვარდს დღეს 22 წელი შეუსრულდა. იგი ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდად ითვლება და თებერვალში ტრავმა რომ არ მიეღო, ალბათ მეტსაც გაიტანდა.

მოკლედ, „შტუტგარტის" თავდასხმა ევერტონით და მარიკათი კიდევ უფრო გაძლიერდა.

ფეე ამბობს, ჩვენ კვლავაც შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთო.

## შალკე

როგორ ეიმედებოდა მირკო სლომკას, რომ მისი გუნდი პირველ ადგილს დაიკავებდა, მაგრამ „შალკეს" გადამწყვეტ მატჩებში მუდამ რაღაც აკლდა ან ისეთ მეტოქეებთან კარგავდა ქულებს, რომლებთანაც ჩემპიონობის მსურველი ფრეს მაინც უნდა თამაშობდეს.

რა შეიცვალა ამ ზაფხულს „ხუმარებში"? სლომკას გუნდი „ბაიერნთან" კი არა, „შტუტგარტთანაც" ვერ მივა ტრანსფერების ხარისხით. ამის გამო იყო, რომ კევინ კურანიმ საჯაროდ აძაგა კლუბის შეფები.

ახალშეძენილები: ჰაიკო ვესტერმანი, ივან რაკიტიჩი და ჯერმენ ჯონსი სეზონის განმავლობაში შეფასდებიან.

„შალკედან" მხოლოდ ერთი ფეხბურთელი წავიდა — ლინკოლნი „გალათასარაიში" გადაბარგდა. სწორედ მას აბრალებდნენ საჩემპიონო რბოლის წაგებას, რადგან გუნდისთვის გადამწყვეტ პერიოდში ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

## ვერდერი

უკლოზეო „ვერდერი" ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ „მუსიკოსების" ფანებს შეგუება მოუწევთ. მათ უკვე მოასწრეს და „ბაიერნში" გადასულ ფორვარდს ლიგის თასის მატჩში უსტვინეს, როცა „ვერდერმა" „ბაიერნთან" 1:4 წააგო. ბრემენელებს სხვა გზა არ ჰქონდათ — მიროსლავ კლოზე უნდა გაეყიდათ, რადგან მომავალ სეზონში კონტრაქტი უმთავრდებოდა და მის სანაცვლოდ გახვრეტილ ევროსაც ვერ მიიღებდნენ.

„ვერდერმა" 15 მილიონამდე დახარჯა ტრანსფერებში. მათ შორის უძვირესია კარლოს ალბერტო — „კორინთიანსის" მეგოლე ნახევარმცველი, რომელშიც 7 მილიონ 800 ათასი ევრო გადაიხადეს. „სოშოდან" სერბი მცველი დუშკო ტოშიჩი იყიდეს, ხოლო „ჰამბურგიდან" — კოტდივუარელი ფორვარდი ბუბაქარ სანოგო.

## ლევერკუზენი

„ფარმაცევტებმა" საუკეთესო ფორვარდი ანდრეი ვორონინი „ლივერპულს" მიჰყიდეს, ხოლო მცველი ჟუანი — „რომას". სამაგიეროდ, ბუნდესლიგის მთავარმეგოლე, ბერძენი თეოფანის გეკასი შეიძინეს „ბოხუმიდან" 4 მილიონ 700 ათას ევროდ. ნახევარი მილიონით მეტი გადაიხადეს „კოლო კოლოს" მცველ არტურო ვილალში, ხოლო ნახევარმცველი რიკარდო ფატი („რომა") 600 ათასი დაუჯდათ. „ლევერკუზენში" ითამაშებს „მაინცის" ყოფილი მცველი მანუელ ფრიდრიხიც.

მეხუთეადგილოსანი ალბათ ამჯერად ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებს.

## ნიურნბერგი

ჰანს მაიერის გუნდი წინა სეზონში კერკეტი კაკალი იყო, მხოლოდ რვა მატჩი წააგო. მასზე ნაკლები (6) მარცხის გრაფაში ჩემპიონ „შტუტგარტს" ჰქონდა. გუნდმა მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა და მეექვსე ადგილს გერმანიის თასი მიამატა. ფინალში არმინ ფეეს „შტუტგარტს" სძლია, რომელიც, როგორც ამბობენ, გაჩემპიონების შემდეგ ქეიფს გადაჰყვა და ფინალს ნაბახუსევი შეხვდა.

„ნიურნბერგმა" ბერძენი ფორვარდი ანგელოს ხარისტეასი „ფეიენოორდიდან", ხოლო ჩეხი მეკარე იარომირ ბლაჟეკი „სპარტადან" შეიძინა. უფასოდ გადაიბირა პერ კლუგე „გლადბახიდან" და ზვეზდან მისიმოვიჩი „ბოხუმიდან".

## ჰამბურგი

გუნდი, რომელსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებდნენ, კინაღამ გავარდა. თომას დოლმა ვერაფრით გამოაცოცხლა „ჰამბურგი" და ამიტომაც შეცვალეს დოლი ჰუუბ სტევენსით 2 თებერვალს. 54 წლის ჰოლანდიელმა უმალ დაატყო ხელი საქმეს და ისე აათამაშა „ჰამბურგი", რომ მეშვიდე ადგილზე და ინტერტოტოს თასზე გაიყვანა.

კლუბმა „ფეიენოორდიდან" ნახევარმცველი რომეო კასტელენი, „დორტმუნდიდან" კოსი საკა და „მაინციდან" ფორვარდი მოჰამედ ზიდანი გადაიბირა.

გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იოახიმ ლიოვის აზრით, სტევენსის გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალუძს.

## ბოხუმი

თეოფანის გეკასის გოლებით მოახერხა „ბოხუმმა" ცხრილის შუაში აძვრომა, მაგრამ ბერძენი ფორვარდი „ლევერკუზენში" წავიდა და მის გარეშეც „ბოხუმს" ალბათ გაუჭირდება.

მარსელ კოლერის გუნდმა ცნობილთაგან ამ ზაფხულს ჩეხი მეკარე იან ლაშტუვკა გადაიბირა — დონეცკის „შახტარიდან". თავდასხმაში მარკ სანდი, პოლონელი მარსინ მისიელი და სლოვაკი სტანისლავ სესტაკი დაიმატა.

## დორტმუნდი

ორი წელი იწვალა ბერტ ვან მარვიიკმა (ბაიერნელი მარკ ვან ბომელის სიმამრია) „დორტმუნდში" და მეშვიდე ადგილს ვერ აასცილა. 2006-ის დეკემბერში თავისი ნებით წავიდა და გუნდს დროებითი მწვრთნელი დაუნიშნეს, რომელიც გაზაფხულზე თომას დოლმა შეცვალა. დოლის ხელში „შავ-ყვითლებმა" ჩემპიონატის ბოლო კარგად ჩაატარეს და გავარდნას გადაურჩნენ.

„დორტმუნდს" კრისტოფ მეცელდერი წაუვიდა „რეალში" და სამაგიეროდ, რობერტ კოვაჩი მიიყვანა. სტივენ პიენაარი „ევერტონს", ნური საჰინი კი „ფეიენოორდს" ათხოვეს. „ბაზელიდან" ხორვატი ფორვარდი მლადენ პეტრიჩი, ხოლო „ვოლფსბურგიდან" არგენტინელი მეგოლე დიეგო კლიმოვიჩი იყიდეს. „კარლსრუედან" ნახევარმცველი ჯოვანი ფედერიკო გადაიბირეს, რომელსაც გასულ სეზონში გერმანელი ფეხბურთმცოდნეები ძალიან აქებდნენ.

თომას დოლის გუნდიც ალბათ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებს.

## ჰერტა

ბერლინელებმა სეზონი კარგად დაიწყეს და საშინლად ჩაამთავრეს. ოთხეულში შესვლას ლამობდნენ და ბოლოს კინაღამ გავარდნენ.

„ჰერტაში" ახალი მწვრთნელია — ლუსიენ ფავრე, რომელმაც სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ივნისში და „ციურიხიდან" მივიდა ბერლინურ კლუბში. „ციურიხი" მან ორჯერ გააჩემპიონა.

ბაზარზე „ჰერტას" დიდად არ უაქტიურია. გუნდიდან სამი ფეხბურთელი წავიდა: კრისტინ ხიმენესი, კევინ პრინს-ბოატენგი და ილდირაი ბაშთურქი. მივიდნენ: ბრაზილიელი ნახევარმცველი ლუსიო („კორინთიანსი"), იაროსლავ დრობნი და კრისტოფერ უინგი.

## ჰანოვერი

„ჰანოვერი" წინა სეზონში სტუმრად უკეთ თამაშობდა და თუ ამას მოახერხებს სახლშიც, უფრო მაღალ საფეხურს დაიკავებს.

მეტ-ნაკლებად ცნობილებიდან ბენჟამინ ლაუტი („ჰამბურგიდან") და მაიკ ჰანკე („ვოლფსბურგიდან") იყიდეს.

## არმინია

ბილეფელდელებმა ორ ფეხბურთელში [illegible] 100 [illegible] გადაიხადეს, ხუთი კი თავისუფალი აგენტის სტატუსით მიიღეს.

„არმინიამ" სამხრეთაფრიკული ბაზარი აითვისა. ამ ქვეყნის ნაკრების ნახევარმცველი სიაბონგა ნოლაკე ნკოსი და მეკარე როვენ ფერნანდესი შეიძინა.

## კოტბუსი

კოტბუსელთა პრობლემა წინა სეზონში მწირგოლიანობა იყო და ამიტომაც შეიძინეს ორი ფორვარდი: კვიპროსელი ეფსტაფიოს ალონეფტისი „ლარისადან" და ბულგარელი დიმიტარ რანგელოვი „სტრასბურიდან". „ლარისადანვე" გადაიყვანეს კონგოელი ნახევარმცველი კრისტიან არმელ ბასილა, ხოლო სოფიის „ლევსკიდან" — სტანისლავ ანგელოვი.

## აინტრახტი

„აინტრახტს" ერთ-ერთი უსუსტესი დაცვა ჰყავდა გასულ ჩემპიონატში — 58 გოლი გაუშვა. მიუხედავად ამისა, ფრიდჰელმ ფუნკელმა მხოლოდ ერთი მცველი, აარონ გალიარდო იყიდა „გრასჰოპერიდან". ნახევარდაცვაში კი მეჰდი მაჰდავიკია („ჰამბურგი") და იუნიჩი ინამოტო („გალათასარაი") დაიმატეს.

## ვოლფსბურგი

„ვოლფსბურგმა" კი არ იყიდა, მოხვეტა ფეხბურთელები. „ბაიერნიდან" გაშვებულმა ფელიქს მაგათმა 11 მოთამაშე მიიყვანა გუნდში და აქედან ცნობილი მხოლოდ ორია: ნახევარმცველი ვლად მუნტეანუ და ფორვარდი სერგიუ რადუ. რუმინელები „მგლებმა" „კოტბუსიდან" გადაიბირეს 4 მილიონ 500 ათას ევროდ.

## ახლები

მეორე ბუნდესლიგიდან ალზევებულთა შორის ქართველი ქომაგისთვის „კარლსრუეა" საინტერესო, რადგან საქართველოს ნაკრების ფორვარდმა ალექსანდრე იაშვილმა ედმუნდ ბეკერის გუნდის მაისურა მოირგო და ბუნდესლიგაში ითამაშებს. „კარლსრუემ" გადაიბირა მცველი კრისტოფერ რაინჰარდი „აინტრახტიდან", უნგრელი ნახევარმცველი ტომაშ ჰაინალი „კაიზერსლაუტერნიდან", მცველი ანდრეას გიორლიცი „ბაიერნიდან", ნახევარმცველი შტეფან ბაკი „უნტერჰახინგიდან" და თავდამსხმელი კრისტინ ტიმი „ფიურტიდან".

როსტოკის „ჰანზამ" ცხრა ფეხბურთელი დაიმატა და მათგან მხოლოდ ერთი, „ჰამბურგის" ყოფილი მეკარე შტეფან ვახტერია ცნობილი. სამაგიეროდ, გერმანიაში და არა მარტო იქ, სახელგანთქმული ბრაზილიელი მეგოლე, 34 წლის აილტონი დაბრუნდა. „შალკეს" და „ვერდერის" ყოფილი ფორვარდი „დუისბურგის" მაისურით ითამაშებს. ახალ ბუნდესლიგელთა შორის „დუისბურგმა" სხვებზე შედარებით უკეთესი ტრანსფერები გაჩარხა. აილტონის გარდა, პსვ-დან მიხაელ ლამი გადაიბირა, „ზალცბურგიდან" კრისტიან ტიფერტი და „ლევერკუზენიდან" ალექსანდრ მაიერი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გერმანიის ბუნდესლიგა 2007-2008

## 2007 წელი

**1-ლი ტური, 10-11 აგვისტო**
შტუტგარტი : შალკე
ბაიერნი : ჰანზა
ლევერკუზენი : კოტბუსი
ნიურნბერგი : კარლსრუე
ბოხუმი : ვერდერი
დორტმუნდი : დუისბურგი
ჰანოვერი : ჰამბურგი
აინტრახტი : ჰერტა
ვოლფსბურგი : არმინია

**მე-2 ტური, 18 აგვისტო**
შალკე : დორტმუნდი
ვერდერი : ბაიერნი
ჰამბურგი : ლევერკუზენი
ჰერტა : შტუტგარტი
არმინია : აინტრახტი
კოტბუსი : ბოხუმი
კარლსრუე : ჰანოვერი
ჰანზა : ნიურნბერგი
დუისბურგი : ვოლფსბურგი

**მე-3 ტური, 25 აგვისტო**
შტუტგარტი : დუისბურგი
ბაიერნი : ჰანოვერი
ლევერკუზენი : კარლსრუე
ნიურნბერგი : ვერდერი
ბოხუმი : ჰამბურგი
დორტმუნდი : კოტბუსი
არმინია : ჰერტა
აინტრახტი : ჰანზა
ვოლფსბურგი : შალკე

**მე-4 ტური, 1 სექტემბერი**
შალკე : ლევერკუზენი
ვერდერი : აინტრახტი
ჰამბურგი : ბაიერნი
ჰერტა : ვოლფსბურგი
ჰანოვერი : ბოხუმი
კოტბუსი : ნიურნბერგი
კარლსრუე : შტუტგარტი
ჰანზა : დორტმუნდი
დუისბურგი : არმინია

**მე-5 ტური, 15 სექტემბერი**
შტუტგარტი : კოტბუსი
ბაიერნი : შალკე
ლევერკუზენი : ბოხუმი
ნიურნბერგი : ჰანოვერი
დორტმუნდი : ვერდერი
არმინია : ჰანზა
აინტრახტი : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : კარლსრუე
დუისბურგი : ჰერტა

**მე-6 ტური, 22 სექტემბერი**
შალკე : არმინია
ვერდერი : შტუტგარტი
ჰამბურგი : ნიურნბერგი
ბოხუმი : აინტრახტი
ჰერტა : დორტმუნდი
ჰანოვერი : ლევერკუზენი
კოტბუსი : ვოლფსბურგი
კარლსრუე : ბაიერნი
ჰანზა : დუისბურგი

**მე-7 ტური, 26 სექტემბერი**
შტუტგარტი : ბოხუმი
ბაიერნი : კოტბუსი
ნიურნბერგი : ლევერკუზენი
დორტმუნდი : ჰამბურგი
ჰერტა : ჰანზა
არმინია : ჰანოვერი
აინტრახტი : კარლსრუე
ვოლფსბურგი : ვერდერი
დუისბურგი : შალკე

**მე-8 ტური, 29 სექტემბერი**
შალკე : ჰერტა
ვერდერი : არმინია
ლევერკუზენი : ბაიერნი
ჰამბურგი : ვოლფსბურგი
ბოხუმი : ნიურნბერგი
ჰანოვერი : დუისბურგი
კოტბუსი : აინტრახტი
კარლსრუე : დორტმუნდი
ჰანზა : შტუტგარტი


2007 წლის ჩემპიონი: „შტუტგარტი“

**მე-9 ტური, 6 ოქტომბერი**
შტუტგარტი : ჰანოვერი
შალკე : კარლსრუე
ბაიერნი : ნიურნბერგი
დორტმუნდი : ბოხუმი
ჰერტა : კოტბუსი
არმინია : ჰამბურგი
აინტრახტი : ლევერკუზენი
ვოლფსბურგი : ჰანზა
დუისბურგი : ვერდერი

**მე-10 ტური, 20 ოქტომბერი**
ვერდერი : ჰერტა
ლევერკუზენი : დორტმუნდი
ნიურნბერგი : აინტრახტი
ჰამბურგი : შტუტგარტი
ბოხუმი : ბაიერნი
ჰანოვერი : ვოლფსბურგი
კოტბუსი : დუისბურგი
კარლსრუე : არმინია
ჰანზა : შალკე

**მე-11 ტური, 27 ოქტომბერი**
შტუტგარტი : ლევერკუზენი
შალკე : ვერდერი
დორტმუნდი : ბაიერნი
ჰერტა : ბოხუმი
არმინია : კოტბუსი
აინტრახტი : ჰანოვერი
ვოლფსბურგი : ნიურნბერგი
ჰანზა : კარლსრუე
დუისბურგი : ჰამბურგი

**მე-12 ტური, 3 ნოემბერი**
ვერდერი : ჰანზა
ბაიერნი : აინტრახტი
ლევერკუზენი : არმინია
ნიურნბერგი : შტუტგარტი
ჰამბურგი : ჰერტა
ბოხუმი : ვოლფსბურგი
ჰანოვერი : დორტმუნდი
კოტბუსი : შალკე
კარლსრუე : დუისბურგი

**მე-13 ტური, 10 ნოემბერი**
შტუტგარტი : ბაიერნი
შალკე : ჰამბურგი
ვერდერი : კარლსრუე
დორტმუნდი : აინტრახტი
ჰერტა : ჰანოვერი
არმინია : ნიურნბერგი
ვოლფსბურგი : ლევერკუზენი
ჰანზა : კოტბუსი
დუისბურგი : ბოხუმი

**მე-14 ტური, 24 ნოემბერი**
ბაიერნი : ვოლფსბურგი
ლევერკუზენი : დუისბურგი
ნიურნბერგი : დორტმუნდი
ჰამბურგი : ჰანზა
ბოხუმი : არმინია
ჰანოვერი : შალკე
კოტბუსი : ვერდერი
აინტრახტი : შტუტგარტი
კარლსრუე : ჰერტა

**მე-15 ტური, 1 დეკემბერი**
შტუტგარტი : დორტმუნდი
შალკე : ბოხუმი
ვერდერი : ჰამბურგი
ჰერტა : ლევერკუზენი
არმინია : ბაიერნი
კოტბუსი : კარლსრუე
ვოლფსბურგი : აინტრახტი
ჰანზა : ჰანოვერი
დუისბურგი : ნიურნბერგი

**მე-16 ტური, 8 დეკემბერი**
შტუტგარტი : ვოლფსბურგი
ბაიერნი : დუისბურგი
ლევერკუზენი : ჰანზა
ნიურნბერგი : ჰერტა
ჰამბურგი : კოტბუსი
ბოხუმი : კარლსრუე
დორტმუნდი : არმინია
ჰანოვერი : ვერდერი
აინტრახტი : შალკე

**მე-17 ტური, 15 დეკემბერი**
შალკე : ნიურნბერგი
ვერდერი : ლევერკუზენი
ჰერტა : ბაიერნი
არმინია : შტუტგარტი
კოტბუსი : ჰანოვერი
ვოლფსბურგი : დორტმუნდი
კარლსრუე : ჰამბურგი
ჰანზა : ბოხუმი

## 2008 წელი

**მე-18 ტური, 2 თებერვალი**
შალკე : შტუტგარტი
ჰანზა : ბაიერნი
კოტბუსი : ლევერკუზენი
კარლსრუე : ნიურნბერგი
ვერდერი : ბოხუმი
დუისბურგი : დორტმუნდი
ჰამბურგი : ჰანოვერი
ჰერტა : აინტრახტი
არმინია : ვოლფსბურგი

**მე-19 ტური, 9 თებერვალი**
დორტმუნდი : შალკე
ბაიერნი : ვერდერი
ლევერკუზენი : ჰამბურგი
შტუტგარტი : ჰერტა
აინტრახტი : არმინია
ბოხუმი : კოტბუსი
ჰანოვერი : კარლსრუე
ნიურნბერგი : ჰანზა
ვოლფსბურგი : დუისბურგი

**მე-20 ტური, 16 თებერვალი**
დუისბურგი : შტუტგარტი
ჰანოვერი : ბაიერნი
კარლსრუე : ლევერკუზენი
ვერდერი : ნიურნბერგი
ჰამბურგი : ბოხუმი
კოტბუსი : დორტმუნდი
ჰერტა : არმინია
ჰანზა : აინტრახტი
შალკე : ვოლფსბურგი

**21-ე ტური, 23 თებერვალი**
ლევერკუზენი : შალკე
აინტრახტი : ვერდერი
ბაიერნი : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : ჰერტა
ბოხუმი : ჰანოვერი
ნიურნბერგი : კოტბუსი
შტუტგარტი : კარლსრუე
დორტმუნდი : ჰანზა
არმინია : დუისბურგი

**22-ე ტური, 1 მარტი**
კოტბუსი : შტუტგარტი
შალკე : ბაიერნი
ბოხუმი : ლევერკუზენი
ჰანოვერი : ნიურნბერგი
ვერდერი : დორტმუნდი
ჰანზა : არმინია
ჰამბურგი : აინტრახტი
კარლსრუე : ვოლფსბურგი
ჰერტა : დუისბურგი

**23-ე ტური, 8 მარტი**
არმინია : შალკე
შტუტგარტი : ვერდერი
ნიურნბერგი : ჰამბურგი
აინტრახტი : ბოხუმი
დორტმუნდი : ჰერტა
ლევერკუზენი : ჰანოვერი
ვოლფსბურგი : კოტბუსი
ბაიერნი : კარლსრუე
დუისბურგი : ჰანზა

**24-ე ტური, 15 მარტი**
ბოხუმი : შტუტგარტი
კოტბუსი : ბაიერნი
ლევერკუზენი : ნიურნბერგი
ჰამბურგი : დორტმუნდი
ჰანზა : ჰერტა
ჰანოვერი : არმინია
კარლსრუე : აინტრახტი
ვერდერი : ვოლფსბურგი
შალკე : დუისბურგი

**25-ე ტური, 22 მარტი**
ჰერტა : შალკე
არმინია : ვერდერი
ბაიერნი : ლევერკუზენი
ვოლფსბურგი : ჰამბურგი
ნიურნბერგი : ბოხუმი
დუისბურგი : ჰანოვერი
აინტრახტი : კოტბუსი
დორტმუნდი : კარლსრუე
შტუტგარტი : ჰანზა

**26-ე ტური, 29 მარტი**
